თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 30 ნოემბრის სხდომის ოქმი #10

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ.თემურ ბერიძე, ფაკულტეტისაკადემიური პერსონალი–26, სტუდენტები – 2, სულ –24 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება

/დეკანის მოადგილე, მ.ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ფალტინის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

/დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის #10 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა წარმოადგინა საკითხი „თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულ ბორის განჩაროვის დიპლომის დანართისთვის სახელმწიფო გამოცდაში შეფასების აღდგენის შესახებ“. მან საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულ ბორის განჩაროვის დიპლომის დანართი ცნობის სახით საათების რაოდენობის მითითებით. ასევე, ინფორმაცია მის მიერ ჩაბარებული სახელმწიფო გამოცდების (უცხო ენა, სპეციალობა) შეფასებების შესახებ. საქმის შესწავლისას საჭირო გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ბორის გენადის ძე გონჩაროვი** 1999-2000 სასწავლო წელს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/487, 09.06.1999).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობის დღის სწავლების უფასო განყოფილების კურსდამთავრებულ ბორისი გონჩაროვს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2, 17.06.2004) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური

რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/829, 15.07.2004) - მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№12706 (სარეგისტრაციო №01/56) რეგისტრირებულია ბორის გონჩროვის სახელზე.

*შენიშვნა: საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი სტუდენტის სასწავლო ბარათი და ბაკალავრის დიპლომის დანართი შევსებულია **ბორის გენადის ძე განჩაროვის** სახელზე, ხოლო ჩარიცხვის ბრძანებაში (№4/487, 09.06.1999), სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2, 17.06.2004), ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებაში (№4/829, 15.07.2004) და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში იგი დაფიქსირებულია როგორც **ბორისი გონჩაროვი**.*

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის 29 მარტის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი: ***„ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ“***. საბჭომ დაადგინა, რომ ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ბორისი გონჩაროვი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“ უნდა მიენიჭოს „მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მატერიალური რესურების მართვისა და საბირჟო საქმის მენეჯერის კვალიფიკაციით“*** *(იხ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №5, 29.03.2016).*

თსუ რექტორის 2017 წლის 8 ნოემბრის №1151/01-04 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება ბორისი გონჩაროვის სახელზე გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში სახელსა და გვარში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო. გამომდინარე აქედან, ბორისი გონჩაროვის მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვლება ბორის განჩაროვის მიმართ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თსუ არქივის მიერ წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტების სკანირებული ვერსია. ბორის განჩაროვის სახელზე შევსებულ ბაკალავრის დიპლომის დანართში არ არის დაფიქირებული დიპლომის ნომერი და არცერთი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. როგორც ჩანს ეს არის დიპლომის დანართის ე.წ. „შავი“ პირი და იგი ინახებოდა კურსდამთავრებულის პირად საქმეში. არც დიპლომის დანართში და არც სტუდენტის სასწავლო ბარათში არ არის ჩანაწერი სახელმწიფო გამოცდების (უცხო ენა - რუსული, სპეციალობა) შეფასებების შესახებ. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახურმა დამატებით მოიძია 1999-2004 სასწავლო წლებში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალები. როგორც ჟურნალიდან ირკვევა მან სახელმწიფო გამოცდა უცხო ენაში (რუსული) ჩააბარა IV კურსზე, კერძოდ, VII სემესტრში და ჟურნალში დაფიქსირებულია შეფასება „3 (დამაკმაყოფილებელი)". რაც შეეხება, სპეციალობაში სახელმწიფო გამოცდის შეფასებას, ის ფაკულტეტზე არ იძებნება.

იმ პერიდოდში არსებული რეგულაციებით, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ მიენიჭებოდა კურსდამთავრებულს, თუ იგი სახელმწიფო გამოცდაში არ დაიმსახურებდა შეფასებას. ვინაიდან, კურსდამთვრებულს შესწავლილ ყველა დისციპლინაში აქვს მიღებული შეფასება „3 (დამაკმაყოფილებელი)", ამიტომ მიზანშეწონილია სახელმწიფო გამოცდაში დაუფიქსირდეს შეფასება „დამაკმაყოფილებელი".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ კურსდამთავრებულ ბორის გონჩროვს (შემდგომში განჩაროვი) სახელმწიფო გამოცდაში „სპეციალობა" აღუდგეს შეფასება მინიმალური ქულით და დიპლომის დანართში დაუფიქსირდეს შეფასება „3 (დამაკმაყოფილებელი)".

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა წარმოადგინა საკითხი „თსუ-ს ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ **არჩილ დოლიძის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ". მან საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ-ს ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთვრებულ არჩილ დოლიძის დიპლომის დანართი და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18

ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან, ასევე სპეციალობის დაზუსტება. საქმის შესწავლისას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად აუცილებელი გახდა დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

არჩილ დოლიძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფი-კაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **არჩილ დავითის ძე დოლიძე** 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისა და მიღების წესების თანახმად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №25, 28.08.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2003 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ დავითის ძე დოლიძე გადაყვანილ იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსზე (ბრძანება №36›, 02.09.2003, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2004-2005 სასწავლო წელს - III კურსზე (ბრძანება №44,

21.09.2004, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2005-2006 სასწავლო წელს - IV კურსზე (ბრძანება №58, 20.09.2005, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების 2006 წლის კურსდამთავებულ არჩილ დოლიძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №36, 26.06.2006 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

თსუ ოზურგეთის ფილიალის 2000-2007 წლების დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში 21-ე რიგით ნომერზე დიპლომი B №000931 რეგისტრირებულია არჩილ დოლიძის სახელზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობაში აღნიშნულია, რომ თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2006 წლის სხდომის ოქმები თსუ არქივში გადაცემული არ არის.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან არ იძებნება თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2006 წლის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები (ოქმები) და შესაბამისად უცნობია გადაწყვეტილების რეკვიზიტები, კერძოდ, ოქმის ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს ოზურგეთის ფილიალის მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღდგენილად ჩაითვალოს ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის „წარმოების ეკონომიკისა და მართვის“ სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ არჩილ დოლიძეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ოზურგეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 26 ივნისის №36 ბრძანებით თსუ ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის 2006 წლის

კურსდამთავრებულ არჩილ დოლიძისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2006 წლის 26 ივნისი*** და ოქმის ნომრად ***№36/3***.

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა წარმოადგინა საკითხი „1996 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, საქალაქო მეურნეობაში *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში *(დღე, დაუსწრებელი)*, სოციალურ-კულტურული სფეროს (ჯანმრთელობის დაცვის) ეკონომიკა და მართვა *(დღე)*, ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, შრომის ორგანიზაცია და ნორმირება *(დღე, საღამო)*, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო)*, ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)*, ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები *(დღე, საღამო)*, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო)* და კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ“. მან საბჭოს მოახსენა, რომ რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოქალაქე მანანა ჯავახიშვილის (კურსდამთავრებულის ნდობით აღჭურვილი პირი) განცხადების საფუძველზე მოითხოვა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1996 წლის კურსდამთავრებული **ნათია მნათობიშვილის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ნათია მნათობიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის

განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ნათია ოთარის ასული მნათობიშვილი** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე მიმღები კომისიის 1991 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საქ. სპეციალობაზე (ბრძანება №4/520, 15.08.1991).

შენიშვნა: ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 1991 წლის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სპეციალობების ცნობარი, საიდანაც ირკვევა, რომ სპეციალობის „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრები და საქ.“ სრული დასახელებაა: „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურბეობაში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ რექტორის 1991 წლის 15 აგვისტოს №4/520 ბრძანებაში დაშვებულია შეცდომა და ნათია ოთარის ასული მნათობიშვილი ჩაირიცხა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში“ სპეციალობაზე.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მომსახურების სფეროს ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 1996 წლის 3 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1996 წლის 30 ივლისის №4/579 ბრძანებით საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ნათია მნათობიშვილს მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია სპეციალობით ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1996-1997 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი A№01437 (სარეგისტრაციო №01/88) რეგისტრირებულია ნათია მნათობიშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1996 წელს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტზე მოქმედებდა ცხრა სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 30 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტუღუში მირონ კარლოს ძე; წევრები: გიგიაშვილი ომარი მიხეილის ძე, გორდეზიანი ნოდარ აკაკის ძე, ფირცხალაიშვილი ლალი ნევრონის ასული, კაპანაძე ლია ანდროს ასული, ჩაგელიშვილი ლალი პავლეს ასული, ღვედაშვილი ნაირა ბიჭიკოს ასული, თურქიაშვილი ლევან ივანეს ძე)* მიერ 1996 წლის 3, 6, 10, 15, 17 და 21 ივნისს წარმოებულია 6 ოქმი. აღნიშნულ ოქმებს არ აქვს მინიჭებული ნომერები.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: იური თეოდოტის ძე კაპანაძე; წევრები: ბიჭიაშვილი ნოდარ სიკოს ძე, ტატიშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე, ღუდუშაური ზაირა თევდორეს ასული, ლაგვილავა ბორისი ბუხუტის ძე, კიკნაძე მიხეილ მიხეილის ძე, ზაუტაშვილი იაკობ პლატონის ძე, ლაფაჩი ქეთევან ვასილის ასული, ჭაჭუკაშვილი თემური შოთას ძე)* მიერ 1996 წლის 25 და 26 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. სამივე ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი (№1, №26 და №67).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ჩხაიძე რევაზ ტარასის ძე; წევრები: პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. პ. ჩაგელიშვილი, პროფ. ს. ჩოჩოშვილი, დოც. გ. ჩანადირი, დოც. თ. ხომერიკი, დოც. ზ. გოცირიძე (შრ. ინსტ.), დოც. ო. ეჯიბაძე)* მიერ 1996 წლის 10-11, 14, 17-18-19, 20-21, 22 და 25 ივნისს წარმოებულია 7 ოქმი. ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი (№1, №2, №3, №4, №5, №6, №7).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. მახვილაძე თენგიზი ლეონიდის ძე; წევრები: დოც. აჩელაშვილი კ.ვ., დოც. ანანიაშვილი ი.შ., დოც. მათურელი ვ.გ., ე.მ.დ. წერეთელი გ.შ., ე.მ.კ. ნათელაური ი. შ., ე.მ.კ. ცუცქირიძე მ.კ.; მდივანი: კონიაშვილი დ.გ.)* მიერ 1996 წლის 12 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი და მისი ნომერია №1.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეხუთე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. ძნელაძე სოსო ვლადიმერის ძე; წევრები: დოც. მაღრაძე მ.ვ., დოც. პარკაძე გ.ლ., დოც. გოგიჩაიშვილი ვ.ა., დოც. ლაგვილავა ე.ს., იასეშვილი ო., კვიციანი ქ.ზ.; მდივანი: ბოლაშვილი ჯ.ი.)* მიერ 1996 წლის 2 და 21 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი. მათგან ერთ ოქმს აქვს ნომერი - №4.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეექვსე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. ძნელაძე ს.ვ.; წევრები: დოც. მაღრაძე, დოც. პარკაძე, დოც. გოგიჩაიშვილი ვ.)* მიერ 1996 წლის 8 ოქტომბერს წარმოებულია 1 ოქმი და იგი უნომროა.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეშვიდე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: კაპანაძე იური თეოდოტის ძე; წევრები:*

ბიჭიაშვილი ნოდარ სიკოს ძე, ტატიშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე, ღუდუშაური ზაირა თევდორეს ასული, კიკნაძე მიხეილ მიხეილის ძე, ლაგვილავა ბორისი ბუხუტის ძე, ზაუტაშვილი იაკობ პლატონის ძე) მიერ 1996 წლის 8 ოქტომბერს წარმოებულია 2 ოქმი და ოქმები არ არის დანომრილი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მერვე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტუღუში მირონ კარლოს ძე; წევრები: გიგიაშვილი ომარ მიხეილის ძე, ჩაგელიშვილი ლალი პავლეს ასული, ღვედაშვილი ნაირა ბიჭიკოს ასული, კაპანაძე ლია ანდროს ძე)* მიერ 1996 წლის 8 ოქტომბერს წარმოებულია 4 ოქმი და აღნიშნულ ოქმებს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეცხრე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. რ. ჩხაიძე; წევრები: პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. ნ. პიჭაძე, პროფ. ს. ჩოჩიშვილი, დოც. თ. ხომერიკი, დოც. გ. ჩანადირი, დოც. ბ. შელია)* მიერ 1996 წლის 8 ოქტომბერს წარმოებულია 4 ოქმი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომრები (№1, №2, №3, №4).

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება. ამასთან მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს კომისიების და თარიღების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ოქმზე დაფიქსირებულია ორი ან სამი თარიღი. ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ იმ პერიოდში სახელწიფო საგამოცდო კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე დაშვებულ სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დამთავრების ბოლოს კი ფორმდებოდა შესაბამისი ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც წარმოდგენილი ოქმებიდან ჩანს კომისიამ შესაბამისად იმუშავა ორი ან სამი დღის განმავლობაში, რასაც ადასტურებს ოქმზე მითითებული თარიღები. გადაწყვეტილებას ხარისხის მინიჭების შესახებ კომისია ღებულობდა ბოლო დღეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი– 1

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში *(დღე, დაუსწრებელი)*, ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში *(საღამო, დაუსწრებელი)* და სოციალურ-კულტურული სფეროს (ჯანმრთელობის დაცვის) ეკონომიკა და მართვა *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მეურნეობაში, საქალაქო მეურნეობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ნათია მნათობიშვილი) ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 3 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 3 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 6 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 6 ივნისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 10 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 10 ივნისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სოციალურ-კულტურული სფეროს (ჯანმრთელობის დაცვის) ეკონომიკა და მართვა*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 15 ივნისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 17 ივნისის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 17 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***;

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 21 ივნისი*** და ნომრად ***№6/3***.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 25.06.1996.***
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №26, 26.06.1996.***
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №67, 26.06.1996.***

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი),* შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების *(დღე, საღამო)* და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის *(დღე, საღამო)*

სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 10-11 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 11 ივნისი*** და ნომერი დარჩეს უცვლელი - ***№1***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №2, 14.06.1996;***
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 17-18-19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 19 ივნისი*** და ნომერი დარჩეს უცვლელი - ***№3***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 20-21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 21 ივნისი*** და ნომერი დარჩეს უცვლელი - ***№4***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 22.06.1996;***
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №6, 25.06.1996;***

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №7, 25.06.1996;***

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფი-კაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური კიბერნეტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 12 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 12.06.1996.***

5. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეხუთე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკური ინფორმტიკისა და მართვის ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების *(დღე, საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 2 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 2 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 21.06.1996.***

6. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეექვსე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების *(საღამო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარის-ხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვე-ტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№5/ბ***.

7. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეშვიდე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში *(საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№2/ბ***;
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№3/ბ***;

8. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მერვე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა *(დღე, საღამო)* და კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე

მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმისთარიღიდანომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№7/ბ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№8/ბ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციისმინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№9/ბ***;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1996 წლის 8 ოქტომბერი*** და ნომრად ***№10/ბ***.

9. აღდგენილად ჩაითვალოს 1996 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის (პირობითად მეცხრე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* და შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალობის *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:
   - ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ***მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 8.10.1996.***

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №2, 8.10.1996.***
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ***მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 8.10.1996.***
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ***მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის*** სპეციალობის კურსდამთავრებულებს ***ინჟინერ-ეკონომისტის*** კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1996 წლის 8 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 8.10.1996.***

10. ზემოაღნიშნული პირობა მიზანშეწონილია გავრცელდეს ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1996 წლის 2, 3, 6, 10, 10-11, 12, 14, 15, 17, 17-18-19, 20-21, 21, 22, 25, 26 ივნისს და 8 ოქტომბერს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1996 წლის 3, 6 10, 15, 17 და 21 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მომსახურების სფეროს ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 2. 1996 წლის 25 და 16 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1996 წლის 10-11, 14, 17-18-19, 20-21, 22 და 25 ივნისის სამრეწველო წარმოების ეკონომიკური ორგანიზაციისა და მართვის (კათედრის) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1996 წლის 12 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 5. 1996 წლის 2 და 21 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 6. 1996 წლის 8 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 7. 1996 წლის 8 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 8. 1996 წლის 8 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 9. 1996 წლის 8 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა წარმოადგინა საკითხი თსუ-სა და ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ 2016 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ“. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ ი. მშვენიერაძის წერილი (№21104/29, 17.11.2017), რომელშიც იგი ითხოვს თსუ და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ 2016 წლის კურსდამთავრებულ ანა დენტოშვილისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი** თსუ-სა და ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ 2016 წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. დენტოშვილი ანა 45001032822

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (21352-29-3-201711221107), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ 2008 წლის კავკასიის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულის მანანა დემეტრაშვილი დიპლომის დანართი. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/010-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისათვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მინიჭებული ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

წერილს თან ერთვოდა თსუ არქივიდან და კავკასიის ბიზნესის სკოლიდან წარმოდგენილი საარქივო მასალა, საიდანაც, ირკვევა, რომ მანანა დემეტრაშვილი კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის პირველ კურსზე სასწავლო წლებისა და სპეციალობების შესაბამისად ჩაირიცხა 2000 წელს, სპეციალობით „ფინანსები“ (ბრძანება №4/443, 30.04.2004).

2008 წლის 2 ოქტომბრის კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №41/08) კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულ მანანა დემეტრაშვილს მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 28 ოქტომბრის №1697/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი M №000004 რეგისტრირებულია მანანა დემტრაშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მანანა დემეტრაშვილს, დაბადებულს 1976 წლის 9 ნოემბერს, მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი“**.

მანანა დემეტრაშვილის სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომში მითითებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელ ოქმში (ოქმი №41/08, 02.10.2008) და თსუ რექტორის ბრძანებით (ბრძ. №1697/01-04, 28.10.2008) მინიჭებული ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია მანანა დემეტრაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 2 ოქტომბრის №1697/01-04 ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის 2008 წლის 2 ოქტომბრის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი 41/08, 02.10.2008) და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის ნაცვლად **„მაგისტრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოთ **„ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი“.**

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (21699-29-3-201711281426), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კავკასიის ბიზნესის სკოლის 2009 წლის კურსდამთვრებულ **ნუცა ნორაკიას** დიპლომის დანართი. აღნიშნული საკითხის საქმისწარმოებისას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-04 ბრძანების შესაბამისად აუცილებელი გახდა დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და კანონმდებლობასთან მინიჭებული ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა.

წერილს თან ერთვოდა კავკასიის უნივერსიტეტში და თსუ არქივში დაცული „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ საარქივო დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ არასაბიუჯეტო სექტორის აბიტურიენტი ნუცა ნორაკია 2004 წლის მისაღები გამოცდების ჩაბარების და 2004-2005 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ 1 სექტემბრიდან ჩარიცხული იქნა „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ არასაბიუჯეტო სექტორის დღის სწავლების I კურსზე მენეჯმენტის სპეციალობაზე (ბრძანება №2451/05, 15.10.2004).

2005 წელს „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ არასაბიუჯეტო სექტორის დღის სწავლების I კურსის „მენეჯმენტის“ სპეციალობის სტუდენტი ნუცა ბიძინას ასული ნორაკია აშშ-ში გამგზავრებასთან დაკავშირებით გარიცხული იქნა სტუდენტთა შემადგენლობიდან აღდგენის უფლებით (ბრძანება №97/05, 27.01.2005 - *საფუძველი: „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ დეკანის კ. შენგელიას მოხსენებითი ბარათი*).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სტუდენტი ნუცა ნორაკია ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად 2005 წლის 1 სექტემბრიდან (ბრძანება №748/05, 09.07.2008 - *საფუძველი: კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორის, კ. შენგელიას მოხსენებითი ბარათები (№29-04/B-A და №30-04/B-A), აკადემიური შვებულებაში გასვლის და 2005 წლიდან კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტები).*

შენიშვნა: აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ნუცა ნორაკია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2005 წლის 27 იანვრის №97/05 ბრძანებით აღდგენის უფლებით გარიცხული იქნა სტუდენტთა შემადგენლობიდან აშშ-ში გამგზავრებასთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნოივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 9 ივლისის №748/05 ბრძანებით 2005 წლის 1 სექტემბრიდან ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად. კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორის ბატონ კახა შემდელიას მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ნუცა ნორაკიამ 2004 წლის ივლისში განცხადებით მიმართა ერთი სასწავლო წლით აკადემიური შვებულების გაფორმების თაობაზე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აკადემიური შვებულების გაფორმების ნაცვლად მოხდა მისი გარიცხვა აღდგენს უფლებით. ნუცა ნორაკიამ აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ 2005 წლის სექტემბრიდან სწავლა გააგრძელა კავკასიის ბიზნესის სკოლაში მაგრამ გარკვევული მიზეზების გამო გამორჩენილია მისი სტუდენტის სტატუსის აღდგენა. ნუცა ნორაკია კი იმ პერიოდში იყო III კურსის სტუდენტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა 2008 წლის 9 ივლისს (ბრძანება №748/05) გამოსცა ბრძანება ნუცა ნორაკიას 2005 წლის 1 სექტემბრიდან აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად გარიცხვის ბრძანების შემდეგ (ბრძანება №97/05, 27.01.2005). შუალედური ბრძანება საარივო დოკუმენტებში არ იძებნება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 იანვრის №5/05 ბრძანებით კავკასიის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამის „მენეჯმენტის“ სპეციალობის სტუდენტი ნუცა ბიძინას ასული ნორაკია ამორიცხულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა შემადგენლობიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ „ფინანსების“ სპეციალობაზე გადასვლასთან დაკავშირებით (ბრძანება №5/05, 13.01.2009).

2008 წელს ნუცა ნორაკია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებიდან გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ფინანსების სპეციალობაზე (ბრძანება №1147/01-04, 15.09.2008 - საფუძველი: კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორის მოხსენებითი ბარათი).

შენიშვნა: თსუ რექტორის №1147/01-04, 15.09.2008 ბრძანებიდან არ ჩანს, თუ რომელ კურსიდან რომელ კურსზე მოხდა ნ. ნორაკიას გადაყვანა. გატონ კახა შენგელიას მოხსენებითი ბარათიდან კი ირკვევა, რომ ნ. ნორაკია 2007-2008 სასწავლო წლის II სემესტრში იყო მენეჯმენტის სპეციალობის III კურსის სტუდენტი.

კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის 2010 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით (ოქმი №01/10) კავკასიის ბიზნესის სკოლის სტუდენტებს (მ.შ. ნუცა ნორაკია) მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2010 წლის 10 მარტის №353/01-04 ბრძანებით კავკასიის ბიზნესის სკოლის 2009 წლის კურსდამთავრებულ ნ. ნორაკიას მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2010 წლის 10 მარტის №353/01-04 ბრძანებით ნუცა ნორაკიასთან ერთად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა 2009 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

- ფინანსების სპეციალობით - ჯღამაძე ზურაბი;
- მარკეტინგის სპეციალობით - ანთელავა ზურაბი;
- საბუღალტრო აღრიცხვა აუდიტის სპეციალობით - გოდერძიშვილის ლევანი.

რაც შეეხება კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №01/10, 15.02.2010) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ

- ფინანსების სპეციალობაში - ჯღამაძე ზურაბი;
- მარკეტინგის სპეციალობაში - ანთელავა ზურაბი;
- საბუღალტრო აღრიცხვა აუდიტის სპეციალობაში - გოდერძიშვილი ლევან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2010 წლის 10 მარტის №353/01-04 ბრძანების შესაბამისად უნდა შესწორდეს კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №01/10, 15.02.2010) და კურსდამთავრებულებს მინიჭებული ხარისხის ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოთ **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლა დამოუკიდებელი სტურუქტურა იყო. აქედან გამომდინარე, ბრძანების სამართლებრივი მხარე ჩანს, რომ არის უსაფუძვლო და ის მხარს არ დაუჭერს აღნიშნულ საკითხს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი– 1

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის 2008 წლის **მაგისტრატურის კურსდამთავრებულის მანანა დემეტრაშვილს „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხის** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.**

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის 2009 წლის კურსდამთავრებულებს: 1. ზურაბ ჯღამაძეს 2. ზურაბ ანთელავას 3. ლევან გოდერძიშვილს მინიჭებული ხარისხის ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოთ **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა საკითხი „თსუ-ს ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ არჩილ დოლიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ“. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (№21347/29, 22.11.2017). მასში აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთვრებულ არჩილ დოლიძის დიპლომის დანართი, მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633

ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან და სპეციალობის დაზუსტება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებიდან და საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ **არჩილ დავითის ძე დოლიძე** 2002-2003 სასწავლო წლის მისაღები გამოცდებისა და მიღების წესების თანახმად ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №25, 28.08.2002, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2003 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის (გურიის რეგიონის) ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ დავითის ძე დოლიძე გადაყვანილ იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსზე (ბრძანება №36ა, 02.09.2003, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2004-2005 სასწავლო წელს - III კურსზე (ბრძანება №44, 21.09.2004, თსუ ოზურგეთის ფილიალი); 2005-2006 სასწავლო წელს - IV კურსზე (ბრძანება №58, 20.09.2005, თსუ ოზურგეთის ფილიალი).

2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების 2006 წლის კურსდამთავებულ არჩილ დოლიძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №36, 26.06.2006 - თსუ ოზურგეთის ფილიალი).

თსუ ოზურგეთის ფილიალის 2000-2007 წლების დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში 21-ე რიგით ნომერზე დიპლომი B №000931 რეგისტრირებულია არჩილ დოლიძის სახელზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივის მიერ გაცემული საარქცივო ცნობაში აღნიშნულია, რომ თსუ ოზურგეთის ფილიალის კვალიფიკაციის მინიჭების 2006 წლის სხდომის ოქმები თსუ არქივში გადაცემული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არჩილ დოლიძეს ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე, იგივე სპეციალობა დაამთავრა 2006 წელს და მიენიჭა **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი,** რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ გასწორდეს ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის, წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობს 2006 წლის კურსდამთავრებულ არჩილ დოლიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18

ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად. ე.ი. არჩილ დოლიძეს მინიჭებული ხარისხის ნაცვლად „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ მიენიჭოს „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: ყოფილი ოზურგეთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის, წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ არჩილ დოლიძისთვის მინიჭებული **,,ეკონომიკის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ,,სოციალური მეცნიერების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.**

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ე.ხარაიშვილი/

1. ქ–ა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018-2019 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე ანკეტა–კითხვარი, რომლის მიხედვითაც მინიმალური კომპეტენციის ზღვრები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პროგრამისდასახელება	**ქართ. ენადალიტ.**	**ზოგადიუნარები**	**უცხოურენა**	**მათემატიკა**
ეკონომიკა	30%+1	30%+1	30%+1	25%+1
ბიზნესისადმინისტრირება	30%+1	30%+1	30%+1	25%+1
ტურიზმი	30%+1	30%+1	30%+1	25%+1
ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	25%+1	40%+1	65%+1	50%+1

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ი. ხელაშვილმა, პროფ. ი. ანანიაშვილმა, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. მ. მინდორაშვილმა, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა, სტუდენტმა გ. ჯაფოშვილმა, სტუდენტმა გ. ბერიძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი მათემატიკაში ,,ეკონომიკის" და „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამებზე უნდა გაიზარდოს და ნაცვლად 25%+1 უნდა იყოს 30%+1.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – 6

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა დ აბიზნესის ფაკულტეტის 2018-2019 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე ანკეტა–კითხვარიშემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრებით:

პროგრამისდასახელება	**ქართ. ენადალიტ.**	**ზოგადიუნარები**	**უცხოურიენა**	**მათემატიკა**
ეკონომიკა	30%+1	30%+1	30%+1	30%+1
ბიზნესისადმინისტრირება	30%+1	30%+1	30%+1	30%+1
ტურიზმი	30%+1	30%+1	30%+1	25%+1
ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	25%+1	40%+1	65%+1	50%+1

2. ქ–მა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018-2019 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,ეკონომიკა", ,,ბიზნესისადმინისტრირება" და ,,ტურიზმი" მისაღები კონტიგენტის ანკეტა–კითხვარი, რომლის მიხედვითაც მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია სტუდენტთა შემდეგი რაოდენობებით:

1. პროგრამა ,,ეკონომიკა" - 400 ადგილი;
2. პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" – 300 ადგილი;
3. პროგრამა ,,ტურიზმი" – 75 ადგილი;
4. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა – 75 ადგილი.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ი. ხელაშვილმა, ასოც. პროფ. მ. მინდორაშვილმა.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – 3

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018-2019 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტიგენტი შემდეგი სახით:

1. პროგრამა ,,ეკონომიკა" - 400 ადგილი;
2. პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" – 300 ადგილი;
3. პროგრამა ,,ტურიზმი" – 75 ადგილი;
4. ,,ეკონომიკა" (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)-75 ადგილი.

<u>იხ. დანართი 1, დანართი 3.</u>

მოისმინეს: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ფალტინის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ პროფ. რ. გველესიანს სთხოვა საბჭოს წევრებისთვის გაეცნო ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ფალტინის მოკლე ბიოგრაფია. პროფ. რ. გველესიანმა აღნიშნა, რომ გიუნტერ ფალტინი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორია მეწარმეობის დარგში. მან 1985 წელს წამოიწყო Teekampagne („ჩაის კამპანია"), რომელმაც გადატრიალება მოახდინა გერმანიის ჩაის ბაზარზე მომხმარებელთა განათლების, გამჭვირვალობისა და კონტროლის თვალსაზრისით. დღესდღეობით კომპანია Darjeeling ჩაის უმსხვილესი იმპორტიორია მთელ მსოფლიოში. ფალტინმა ბერლინში დააარსა „მეწარმეობის ლაბორატორია" და ბიზნესანგელოზობა გასწია მრავალი წარმატებული დამწყები მეწარმისათვის. ფალტინის მეწარმეობის ფონდის საშუალებით ლაბორატორია ხელს უწყობს გერმანიაში მეწარმეობის ახალი კულტურის ჩამოყალიბებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში Price-Babson ფონდმა ის დააჯილდოვა „აკადემიაში სამეწარმეო სიცოცხლისუნარიანობის შემოტანისათვის" . 2009 წელს მან მიიღო გერმანელი დამფუძნებლებისა და ასევე, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების გერმანიის ფედერალური სამინისტროს ჯილდო იდეისათვის „კომპონენტებით დაფუძნების შესახებ", ხოლო 2010 წელს დაიმსახურა ფედერალური ჯვარი გერმანიის პრეზიდენტისაგან მეწარმეობის განვითარებაში გაწეული პიონერული შრომისათვის და სამეწარმეო განათლებაში შეტანილი ორიგინალური შემოქმედებითი წვლილისათვის.

პროფ. რ. გველესიანმა ასევე აღნიშნა, რომ პროფ. გიუნტერ ფალტინი თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასთან თანამშრომლობს 2012 წლის ივნისიდან. კერძოდ, ის ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო სამუშაო სემინარებს დამწყები მეწარმეებისათვის ,,მეწარმეობის ლაბორატორიის'' ფარგლებში, რომელზეც რამდენჯერმე მიწვეულნი იყვნენ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლები. 2014 წლის მაისში მისი ინიციატივით თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი თემაზე: „მეწარმეობის ახალი კულტურის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები", სადაც მთავარ მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ თვითონ პროფესორი გიუნტერ ფალტინი და სოციალური მეწარმეობის სააგენტოს „Iq consult"-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პროფესორი ნორბერტ კუნცი.

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ინიციატივით ითარგმნა და მასზე დიდი მოთხოვნის გამო თსუ გამომცემლობის მიერ ორჯერ გამოიცა გიუნტერ ფალტინის ცნობილი წიგნი ,,გონება ამარცხებს კაპიტალს“. 2014 წლის მაისში მოეწყო მისი პრეზენტაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. აღნიშნული წიგნი ჩართულია ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა“ ძირითად ლიტერატურაში.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ის შუამდგომლობას უწევს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ფალტინის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 26**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობას უწევს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გიუნტერ ფალტინის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე